

ბიანობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 23-24
1939. წ.

ბაბ-ბა „პრობისტი“
ფასი: 2 მან.



ბიბლიოთეკა
 № 9/15
 ბიბლიოთეკა 1940
 5 მან
 № 54

ბ. მ. ლეგეშვილი


თქვენთვის

საბჭოთა "ნაძის სე"

(იხ. მე-24 გვ.)

კამერნიკი სანიანგო ეპიზოდი

(საბავშვო მიმოხილვიდან)



1939 წელი მეტად მდიდარია სანიანგო ეპიზოდებით. მათი შემომქმედნი უმთავრესად ჩემნი ტკბილი მეგობრები არიან, რომლებიც საფრანგეთის ახლანდელ მესვეურთა და ინგლისელ რეაქციონერთა ბანაკს ეკუთვნიან.

* *

1939 წლის განთავის წინ კაპიტალისტურ ქვეყანას ახალი მახარობელი გამოუჩნდა. ეს მახარობელი მიუნხენის ცნობილ შეთანხმებით აღტაცებული, ინგლისის პრემიერი ჩემბერლენი იყო.

შეიფრთხილა მინისტრმა, შეირხა, თავი დაპზარა, და მოციქულის პოზითა ქვეყანას ასე ახ რა:

„ხაროს ჩვენმა თაობამ, მისთვის დადგევი თავიო, და დავაყა უე საქვეყნოდ; მტკიცე, ურყვევი ზავიო“.

— მშვიდობიანობა ჩვენი თაობისათვის უზრუნველყოფილია. — საზეიმოდ განაცხადა სიტყვა-სიტყვით მიუნხენიდან დაბრუნებულმა მახარობელმა ჩემბერლენმა. როგორ გამართლდა ჩემბერლენის ბრძნული წინასწარმეტყველება? ვერც კი მოასწრო ბატონმა პრემიერმა სიტყვის დამთავრება, რომ ჩვენ ახალი მსოფლიო ომის მოწმე შევიქვით.

ქეშმარიტად, ჩემბერლენის დაპირება იყო სანიანგო ეპიზოდი საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

* *

ჩემბერლენმა საფრანგეთის ეხლანდელ მესვეურებთან ერთად ვადასწყვიტა ეკონომიური ბლოკადის საშუალებით გერმანიის დამარცხება. თუ რა „ეფექტი“ მოიტანა ან შეუძლია მოიტანოს ამ ღონისძიებამ ამის გასათვალისწინებლად საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ერთი ანეგდოტი.

როდესაც მოლა მასრადინა გარდაიცვალა მისმა ღირსეულმა მემკვიდრეებმა ვადასწყვიტეს წმინდათ დაეცვათ მისი საფლავი.

— ისეთ კედელს ავაგებთ, რომ ზედ ბუზიც ვერ გადაფრინდესო, თქვეს მათ და საქმეს შეუდგნენ:

მოლას საფლავზე აღმოსავლეთის მხრიდან უმწვერვალესი კედელი აღმართეს. კედელს რკინის კარი შეაბეს და ზედ ვეებერთელა ბოქლომი დაჰკიდეს. სამაგიეროდ, ქვეყნის სამივე მხრიდან საფლავი ღია იყო და ყველას შეეძლო თავისუფლად გავლა-გამოვლა. რა იცოდნენ მოლა მასრადინის მემკვიდრეებმა რომ მათ XX საუკუნეში გაუჩნდებოდათ მიმბაძველები? გერმანიას, რომელიც ცოცხლობს და ძალას იკრებს. არავითარი კავშირი არა აქვს მოლას საფლავთან, მაგრამ, სამაგიეროდ ინგლისის საფრანგეთის მესვეურებს, რომლებმაც განიზრ ხეს გერმანიის ეკონომიურად ჩახშობა, და რომლებიც უძლეური არიან მოსწყვიტონ გერმანია, — გარდა დასავლეთის საზღვრისა — ქვეყნის სხვა მხარეებში მდებარე მეზობელ

ბაზრებს, ბევრი რამ აქვთ საერთო მოლას მემკვიდრეებთან. —
ქეშმარიტად, ჩემბერლენის დიპლომატიკის ეს პოლიტიკაც უნდა მივიღოთ სანიანგო ეპიზოდით.

* *

ინგლის-საფრანგეთის მესვეურები კოკობ ულვაშებში კოცნიდნენ გერმანიის ელჩებს იმ იმედით, რომ გერმანიის ხალხს საბჭოთა კავშირთან ომში ჩაითრევდნენ. —

— რურის ოლქი გნებავთ? ბაშუსტა! გაამოს! ოლონდ საბჭოთა კავშირის ჯავრი ამო გეყარე.

— ავსტრიის შეერთებას აპირობთ? მშვიდობაში! ოლონდ ანტიკომინტერნული პაქტი არ დაგავიწყდეთ.

— ჩეხოსლოვაკიის გერმანულ ოლქებს მოითხოვთ? მშვიდობაში! ჩეხოსლოვაკიაც თქვენი იყოს! ოლონდ საბჭოთა კავშირთან ომს ნუ აგვიანებთ.

და მართლაც გერმანია-საბჭოთა კავშირს აღარ დაუყვიანებია სამშვიდობო პაქტის ხელის მოწერა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მიერ დადებულ ურთიერთ თავდაუსხმელობის პაქტმა ინგლისელი მშობლები და მათი მოკავშირეები.

ამ „გაბუსტიაკებულ“ დიპლომატთა მდგომარეობაც ხომ სანიანგო ეპიზოდი.


მეღუჯა.

ნახ. მის. ლებეშევისა.

თბილისის ხოლოპარკმა მოაწყო საბავშვო ნაძვის ხეების მონაწილეობით.



დათვალი: — ჩვენთან, ცხეშიც ბევრი იყო ნაძვის ხეები, მაგრამ ასეთი უცნაური რამ, თავისით რომ ანათებდეს — ჯერ არხად მინახავს.



„რ ა ი ნ დ ე ბ ი“

— რაიო? მკვდარიო? გეგონებათ! მარტო გუშინ ოთხი მკვდარი გაგვექცა და ერთიც ვერ დავივირეთ.

სახალწლო უიქრები რომის პაპის პიუს XII-სა

1940 წლის განთიადი აღმოსავლეთის კამარას აფერადებს. ვატიკანის კურთხეულ სასახლეში კურთხეულ სარეცელში წევს უფლისაგან კურთხეულ რომის კურთხეული პაპი პიუს XII. მას მთელი ღამე არ სძინებია. მის თვალს რული არ ეკარება. წმინდა მამის გონება წმინდა ფიქრებში არის გართული. რას ფიქრობს პეტრეს მოციქულიო, საფიქრელი ბევრი რამ აქვს ვატიკანის მეუღლეს...

— ანტიკომინტერნულმა პაქტმა ჩაიღურის წყალი დალია. მასზე ხელის მოწერის დროს საზეიმო პარაკლისი აგადავიხადე, ღმერთს მადლობა შევწირე რომ ქრისტეს ჯვარს კომუნისტებისაგან დამცველი ძალა გამოუჩნდა. გაპარულ უღვაშების ნაცვლად ბაგეებში ვიციინოდი სიხარულით. მერე რა მოხდა? სძლია მადლსა უფლისასა ძალმან ეშმაკეულმან და მოევლინა საქრისტიანოს გერნანია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება... მეზარალა სამკუთხედი? აფსუს რა იმედები ჩამეშალა? ფიქრი ფიქრს მისდევს... მის წინ მეფისტოფელის აჩრდილი დგება და დახარხარებს:

— ხა! ხა! ხა! განუტყვევ მშვიდობა სულისა... წმინდა მამაზეციურმა ძალებმა ზურგი შეგაქციეს. ჩემს ხელში დაგტოვეს, ბოიკოტი გამოგიცხადეს.


მართლაც რას მოასწავებს ის, რაც გარდასულ წლის განმავლობაში მოხდა? ღვთისმშობლის ხატვა, რომელიც ერთმორწმუნე პოლონეთის დამცველად გამოაცხადა სიოცხელი აქამა. საქვეყნოდ შეარცხენია ჯვარი, პატიოსანი და ურწმუნო კომუნისტებს გადაალახვია პოლონეთის სახელმწიფოს წმინდა საზღვარი და საბჭოთა კავშირთან შეერთებია დასავლეთ უკრაინა და დას. ბელორუსია. გატყდა, შეიბღალა ღვთისმშობლის ძალის სახელი. შეიბღალა რწმენა. ვინ დაენდობა ამის შემდეგ უფლის სასწაულებს?

რა ნდობა გაჭირეს,
რწმენაც დაეცეს,
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას.

რაიმე ზომებია საჭირო, რომ ეკლესიის შეღახული ავტორიტეტი აღვადგინო. რა ზომას მივმართო?... შევთხზავ წერილს ანგელოზ მიხეილის სახელით და გამოვაცხადებ, თითქოს იგი ნახეს რომში ანგელოზ მიხეილის საკუთარ ხელით ციდან ჩამოგდებული... სათაური ასეთი სჯობია „წმინდა წერილი ესე ანგელოზ მიხეილისაგან“. ტექსტი ასეთი განმარტებით უნდა დაიწყოს: „წერილი ესე ჩამოგდებულია ციდან და ნახულია წმინდა ქალაქ რომში 1940 წლის პირველ იანვრის განთიადის ეამს.“ წერილი იგი რისხვას უნდა ჰგავდეს: „მე მიხეილ გაბრიელ მთავარ ანგელოზი, მოწამე ხალხთა აღრევისა, ღვთისაგან განდგომისა, ეკლესიების და საწირავის დავიწყებისა, ურწმუნო კომუნისტურ აზრთა მქადაგებელთადმი ხალხისაგან გულის მიპყრობისა, ვაფრთხილებ ყველას დაუბრუნდნენ სახლსა უფლისასა, იწამონ ქრისტე მაცხოვარი, აღიარონ ძალი მამისა, ძისა და სულისა წმინდისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მე დაგსჯით თქვენ გვალვით, სეტყვით და ცეცხლის გველებით... „არა, ამით ვერავის შევაშინებ. იანვარში რა დროს გვალვა და სეტყვაა?... „ცეცხლის გველებისა“ არავის ეშინია... ხალხი გაცუღლუტდა. არც წერილის ციდან ჩამოგდებას დაიჯერებს... რა ხერხს მივმართო?

ამ ფიქრებში კიდევ დაათენდა. ხელში ლოგინთან იატაკზე დაგდებული გაზეთი აიღო და ოპერატიული ცნობები წაიკითხა. მაქინოსა და ზიგფრიდის ხაზზე სიწყნარე იყო. „ეგ სიმაგრები მაინც ახალი აგებული არ იყოს, რომ მიქელ-გაბრიელის სასწაულად გამოვაცხადო! მაგათი აშენება ყველა მოქალაქეს ახსოვს... რა ვუყო, რა ვქნა, რა სასწაული მოვიგონო ისეთი, რომ ეკლესიის ავტორიტეტი და ვატიკანის დაცარიელებული დახლი დაღუპვას გადავარჩინო?...“ რომის ქალაქს ეკლესიის ზარების გუგუნე მოეფინა.

პიუს მეთორმეტეს არაფერი ესმოდა. იგი მწარე ფიქრებს მისცემოდა...



ნახ. ი. ქიქიაშვილისა.

ქართველი
ბიბლიოთეკა



ყინვა-ბაბუა დასავლეთი ევროპაში

— ცხელა, ბაბუავ, უცნაური წელიწადი დადგა!

— ალექსანდრ სერგევიჩი, დედას გეფიცებით, პირდაპირ ბედნიერი ხართ: თქვენისთანა დეპეშა არავის ექნება.

— მაინც არ მჯერა, აბა შენი წაიკითხე.

— პაქალუსტა: „ტრესტის სიამაყეს, გადაჭარბებული გეგმების მშობელს, ჩვენს მმართველს—თომა ლუკიჩს: გილოცავთ ახალ წელს. მრავალს დასწრებოდეთ თქვენის ცოლშვილითა. დღეს, 1940 წლის ახალ წელიწადს, თქვენი მომხარაგებელი, რომელმაც თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით შეისწავლა მომხარაგების უძნელესი საქმე. ამ დეპეშით გაძღვეთ დოკუმენტალურ პირობას, რომ თქვენი ერთგული იქნება აწ და მარადის, უკუნისი უკუნისამდე. ლუკა თაბახაძე.

— ვითომ ჩემი სჯობდეს მაგას?

— ალექსანდრ სერგევიჩი, დედას გეფიცებით, პირფერობა არ შემოიძლიან... რა სათქმელია!

ასეთ ბაასში იყენენ გართულნი „პიტნატრესტის“ თანამშრომლები, მმართველის მეშვიდე მოადგილის პირადი მდივანი ალექსანდრე სპრინკველი და გასაღების განყოფილების მთავარი მომხარაგებელი ლუკა თაბახაძე, როცა ადგილკომის თავმჯდომარემ ოთახის კარები შემოაღო. მას თან შემოჰყვნენ ტრესტის სხვა თანამშრომლებიც.

ადგილკომის თავმჯდომარემ, როგორც წესია, ჯერ წესრიგისაკენ მოუწოდა თავმოყრილ ამხანაგებს, შემდეგ კი სერიოზულად დაიწყო.

— მეგობრებო, აქ, როგორც ვხედავ, ჩვენს შორის თავი იჩინა თავნებობამ და უხეირო ინდივიდუალიზმმა. როგორც ამ საქმესთან ახლო მდგომ წრის სარწმუნო წყაროები გადმოგვცემენ, ჩვენი ძვირფასი მმართველის სახელზე თავი მოუყრია რამდენიმე ინდივიდუალურ, კერძო დეპეშას, ეს, ამხანაგებო, ნიშნავს იმას, რომ ჩვენმა ძვირფასმა მმართველმა უნდა წაიკითხოს იმდენი დეპეშა რამდენიც ტრესტში თანამშრომელია და ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა ძვირფასმა მმართველმა დეპეშები უნდა იკითხოს ამ ახალწლიდან მომავალ ახალწლამდე.

— პაქალუსტა, — წამოიძახა ალექსანდრე სპრინკველმა, — ვისი რა საქმეა!

ადგილკომის თავმჯდომარემ საპასუხოდ სთქვა:

— ჩვენ, კანეჩნა, არ ჩავერევით არავის პირად საქმეში, მაგრამ აქ მმართველის ინტერესებთან გვაქვს საქმე და კეთილ ინებვით, უფლება გვი-

ბოძეთ, წესრიგისაკენ მოვუწოდოთ ამხანაგებს...

სპრინკველმა ველარ მოითმინა:

— თუნდ ხუთიათასი დეპეშაც მიიღოს, ეს არაფერს ნიშნავს. მმართველმა ძალიან კარგად იცის ვინ არის მისი ერთგული და მხოლოდ მათს დეპეშებს წაიკითხავს.

— კი, მაგრამ, სანამ გაიგებდეს დეპეშა ვისია, გადახედვა ხომ უნდა. — დაიჭინა ადგილკომის თავმჯდომარემ.

— მაგის გამოსავალიც არსებობს, ახალწელიწად დღეს მე თითონ ვარ დაპატივებული მმართველთან, მე თითონ გადავარჩევ იმ დეპეშებს და მე თითონ მივართმევ ძვირფას მმართველს წაიკითხვის ღირსს ავტორთა დეპეშებს.

ადგილკომი დალბა:

— მე, ალექსანდრ სერგევიჩი, რასაკვირველია, თავნებობათ მიმაჩნია ის ამბავი, რომ ამდენს აგინებდით, მე, რასაკვირველია, მჯერა თქვენი გამჭრიახობისა, რომელ გამჭრიახობითაც თვით ძვირფას მმართველსაც კი არ ჩამოუფარდებთ. მე სრულებითაც არ მინდოდა თქვენი წყენა და ისიც მჯერა, რომ ჩემს პირად დეპეშასაც წაიკითხებთ ძვირფას მმართველს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მსურდა ამეწვია ადგილკომის ავტორიტეტი და კავშირის წვერთა კოლექტიური დეპეშა გამეგზავნა მმართველისათვის.

— ტოქე დაუსტიმო. — სთქვა სპრინკველმა, — მაგრამ ეგ დეპეშა უნდა გაიგზავნოს ტრესტის მისამართით და არა ბინაზე...

* *

1939 წლის დეკემბრის 31-ს ტელეგრაფში უამრავმა დეპეშამ მოიყარა თავი. მათი მისამართი დაახლოვებით ასეთი იყო: „აქვე, „პიტნატრესტის“ სამმართველოს შენობა, ბინა ტრესტის მმართველისა, თომა ლუკასძე ახრახაძეს“. დეპეშათა რაოდენობის თქმა მიძინელება მისი სიმრავლის გამო. სიტყვების რაოდენობა თითოეულ დეპეშაში გახლდათ 50-დან 500-მდე, მათი წონა 0, 0.

* *

— სხვათა შორის, — ასე დაიწყო სადღეგრძელო „პიტნატრესტის“ თანამშრომელთა ერთი ნაწილის გაერთიანებული მაგიდის თამადამ პლატონ ღვანკითელმა, მას შემდეგ რაც ადგილკომის თავმჯდომარე ტრესტის მმართველთან გააგზავნეს მათი კოლექტივის სახე-

ლით მილოცვის მიწნით, — სხვათა შორის, ეს ბედნიერი დღე ბევრ რამეს დაგვანახებებს ჩვენი ტრესტის საქმიანობაში. რას ნიშნავს თუნდაც ის გარემოება, რომ ტრესტის თანამშრომელთა თითქმის სამოცდახუთმეტმა პროცენტმა მილოცვის დეპეშა არ გაუგზავნა ჩვენს ძვირფას მმართველს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს პატივცემულ ტრესტში, კიდევ მოაპოვებიათ ორგული მუშაკები, რასაც უნდა დავცხოთ და გავანადგუროთ. და თქვენ ნახავთ მომავალი წლის პირველ დღეებშივე თუ არ გაიწმინდოს შტატი ასეთი, უკაცრავადბასუხია, მუშაკებისაგან. ამ ჰიქით ჩვენს მმართველს გაუმარჯოს, როგორც ცოლის მოყვარულს.

ჯერ ნახევარი საათიც არ იყო გასული ტრესტის მმართველთან მოციქულის გაგზავნიდან, რომ მათი კოლექტივის სახელით გაგზავნილი თავმჯდომარე ადგილკომისა მიხეილ დეპეშეული უკანვე შემობარბაცდა და სავარძელში ჩაიკეცა.

ყველა გატვრინდა.

თამადამ სადღეგრძელო გაწყვიტა.

— ალბათ არ მიიღო მმართველმა, — წაიბუტბუტა ვილაცამ.

— არა, მაგის დეპეშა არ მოეწონებოდა უსათუოდ. — უპასუხა მეორემ.

— მე მგონი, ალექსანდრ სერგევიჩი არ შეუშვებდა ძვირფას მმართველის სახლში. — აზრი. გამოსთქვა მესამემ.

სიჩუმემ რომ ნერვებისაშლილობამდე მიიყვანა მოქიფენი, თამადამ ველარ მოითმინა:

— აღარ იტყვი რა დაგემართა, მიხეილო?

— დავიღუპე.

— რა მოხდა?

— ფული დავკარგე.

— გზაში გაგძარცვეს?

— არა, ისე.

— ბევრი?

— ოცდათექვსმეტი მანეთი და თოთხმეტი შაური.


— სად, როდის?


— გუშინ, მთავარ ტელეგრაფში დეპეშის საფასური. დღეს საღამოს თანამდებობიდან მოუხსნიათ ჩვენი მმართველი, როგორც უხეირო მუშაკი.

ყველა დაზარალებულს გმინვა აღმოხდა.

მათ შორის ხმამაღლა ამოიკენესა უნცროსმა ბუღალტერმა აქვსენტი ჯორჯიკიამ და ზარალის ანაზღაურების მიზნით ზედიზედ გადაჰქრა ექვსი ჰიქა გურჯაანული.

8. ივანიშვილი





მელიტონი რატომღაც დიდხანს უარს ამბობდა ცოლის შერთვასზე.

— რა მაჩქარებს, მერეც მოვესწრები. რატომ ასე ადრე უნდა შევეყო უღელში თავი? ხუმრობით ამბობდა იგი.

— ძალიან ადრე კია, შენმა მზემ, — ბარე ორმოცი წლის ხარ, — უპასუხებდნენ ამხანაგებმა და ხან ერთ ქალს გამოუჩრჩევდნენ, ხან მეორეს.

— დამაცადეთ, კარგად მოვიფიქრო...

— მოხუცი დედ-მამა ჯავრით აღარ იყო: შვილი გვიბერდება, შთამომავლობა იკარგებაო.

მელიტონი ორმოცდახუთი წლის შეიქნა და ცოლი მაინც არ ჰყავდა.

— ღმერთო, ნუ შემშლი და ნუ გადამრევ, ასავსავებდა ხელს მელიტონის დედა. — რას უყურებ, ბიჭო, რატომ მკლავ?

— რა მაჩქარებს, დედა, ან ვინ არის სახეირო, რომ ოჯახის დიასახლისად ივარგოს?

— გურანდუხტ რანდაძე შეირთე, — ურჩია მეგობარმა, რომელიც შეთავსებით შუაწავლის როლსაც ასრულებდა, — ლამაზიცაა და პატიოსანიც.

— გურანდუხტი? აჰ, დაბალია, ამ სიმაღლე კაცს ისე დაბალი ცოლი არ შეშენის.

— მაშ ელიკო იყოს, ოთხასი შრომადღე აქვს, დამკვრელია.

— ელიკო? არა, გენაცვალე, ის ჩემსავით მალალია. ჩვენი შვილები ბამბუკის სიმაღლისა იქნებიან, შთამომავლობა გაფუჭდება.

— ვარდისაქარზე რაღას იტყვი? ის ხომ საშუალო ტანისაა!

— საშუალოსი კია, მაგრამ მესტიმეტად მსუქანია, ექვსი ფუთი გამოვა, იმას ალბად ბევრი ჭამა ეცოდინება, სადა მაქვს მასეთი ქალის შენახვის თავი?

— მაშ ზოია იყოს.

— ზოია? უცოლოდ რომ დავრჩე, ზოიას მაინც არ შევირთავ. ჩალის ღეროსავითაა გამხმარი. სანამ იმას გავასუქებდე, ნახევარ ქონებას შემიჭამს.

ამ კამათში გადიოდა თვეები, წლები.

— მელიტონ, ივანე ახრახიძის ქალიშვილი როგორ მოგწონს?

— არ მომწონს: ერთი რომ შეგვგრემანია, ზანგივით შვილები ეყოლება, მეორეც — გვარი არ მეპიტნავენა, ახრახიძე რაღა გვარია? თანაც მეტად ახალგაზრდაა, არ შემეფერება.

— იაკინთე კომშაძის დისშვილი ჟიროფლე?

— ჟიროფლეო? ვერა გენაცვალე! მეტისმეტად ქერაა, რიკა ცოლი გაყავსო, დამიძახებენ, მეორეც — ჟიროფლეა? ჟიროფლეა... აჰ, მაგას ვერ ვიხამ...

ბენ, მეორეც — ჟიროფლე რა სახელია? ჟიროფლე — ჟიროფლეა... აჰ, მაგას ვერ ვიხამ...

ორმოცდაათ წელს გადააბიჯა მელიტონმა და ბოლოს, როგორც იქნა, მონახა შესაფერი: პატიოსანი, ჯანღონით სავსე, კარგი მეოჯახე, ზრდილი და მშვენიერი ქალი ივლითი, რომელსაც პირველი წლის დასასრულსავე ქალვაჟი ეყოლა ერთად.

მელიტონი შეშფოთდა:

— არ მინდა მეთქი ცოლი, არ დამიჯერეს, რა მარჩინებს ორს ერთად? — წუწუნებდა იგი.

არც მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე წლებს ჩაუფლია უშედეგოდ: ყოველ წელიწადს თითო პაწია მოქალაქე ემატებოდა მელიტონის ოჯახს და მელიტონის წუწუნიც მატულობდა:

— რას მიშვრება ეს ქალი? საბავშვო ბალი უნდა გამიხსნას ოჯახში? — შესჩივოდა იგი მეზობელს.

სამოცი წლისთავზე მელიტონს მეშვიდე შვილი ეყოლა და დაუყოვნებლივ ორი ათასი მანეთიც მიარრვა სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ.

— რატომ? რისთვის? — იკითხა გახარებულმა მამამ.

— როგორ თუ რისთვის? ვითომ არ იცი შთავაზობის დადგენილება!

— უპასუხა თავმჯდომარემ და ხელების ფშვენტით მიუჯდა გაშლილ სუფრას. — ეს შენი ნამატის სადღეგრძელო იყოს!..

— გენაცვალოს მელიტონი! მე სულელმა კინაღამ გინეკოლოგს მოემართე. მეტი ბავშვი არ მინდა მეთქი...

ახლა სამოცდახუთი წლისაა მელიტონი. მის ეწოში ცხრა ცქრიალა ბავშვი დარბის, მათე (ერთერთი უფროსი ქალთაგანი) მეთერთმეტის აკვანს არწევს. ბავშვების დედა, შინ არაა: სოფლის საექიმო პუნქტში წევს, სახეზე ღიმილი უთამაშებს და ნაზად ეალერსება მეთორმეტეს, რომელმაც მეორე დღეა, ინება საზოგადოების წევრად გახდომა.

მელიტონი? — მელიტონი ქარმაგი მოხუცი — თორმეტი ქალ-ვაჟის მამა. საკოლმეურნეო სასადილოში ზის მიგობრებთან ერთად და წუწუნებს:

— რა ვუყო, ყმაწვილებო, ამდენ ფულს? თორმეტა, წელიწადში ეს უნცროსი ექვსი ცუდლუტი თორმეტ ათასს იღებს, კოლექტივის შემოსავალი სხვაა, საკარმიდამო კიდევ სხვა... სახლიც ახალი დავდგი, ცხენიც მყავს, ძროხაც, პატეფონიც მაქვს, ახლა იძულებული გავხდი, პიანინო მეყიდა...

— იწუწუნე ჰო, იწუწუნე! რა მეცოდები! დასცინის მელიტონს ყთფილმა შუამწავალი, — რომ არ მიჯერებდი, ცოლს არ შენიძინებდი, კვინის ქალებს რომ მიწუნებდი, გახსოვს? სანამ არ დაბერდი ცოლი არ შეირთე...

— კარგი ექენი, ჩემო სპირლონი! მე და ჩემი ივლითი რომ ახალგაზრბობაში გადავყროდით ერთმანეთს, ხაზინას გავაკოტრებდით, სამოცამდე ავიდოდით... თქვენი სადღეგრძელო იყოს. წავიდეთ, ის პიანინო შემატანიეთ სახლში...

ალღარ-ალღარსან

სახვარ დაჩჩი

ამის წინათ მე ქ. სტალინის მცხოვრებს კარებზე დამიკაკუნეს. გავაღე. ვხედავ — წერილების დამტარებელია. დახუული ვახეთები ჩამაბარა და მეუბნება:

— მას ჟამსა შინა თქვენ გახეთები გამოგიწერიათ, წვიმების გამო ჩვენ ვეღარ მოგვიტანია და სარდაფში ჩავიწყვიტა. იქ ნაწილი დამპალა, ნაწილი თავგებს შეუქამია არაფერი გეწკინოთ.

სთქვა და გავიდა. მე სახტად დავრჩი. ან კი რა მეთქვა ასეთი დატარებლისათვის?

შოთიკო

როგორ მოვიქცეთ?

ქ. სტალინის პედინსტიტუტში სტუდენტები ზურგზე ასხედან ერთმანეთს. მათ შორის არამცირეა ცუდოსანთა რიცხვი. ამავე დროს მრავალი სტუდენტი, რომელთაც გამოცდებზე „კარგები“ მიიღეს, ინსტიტუტს გარეშე დარჩნენ. დირექციას სურს ცუდოსანთა დათხოვნა და კარგოსანთა მიღება, მაგრამ უბედურება ისაა, რომ „ცუდები“ სწორედ დირექციის ნათესავებს ჰყავთ, კარგოსნები კი თითქმის უცნობი ხალხია.

როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში?

თიკო.





თეთრფინელი ოფიცარი:—საბჭოთა გაზეთები სწერენ: ფინეთში ძლიერი ყინვების გამო საომარი მოქმედების წარმოება გართულდაო. კაცი ოფლად ვიდვრები, ეს არის ყინვა?!

კამოს ქუჩაზე უნივერსიტეტის და ი. ჭავჭავაძის სახელობის კვლევის ინსტიტუტის წინა ფენილი დანგრეულია. ქუჩაში გაშვებული ტალახია, რაისაბჭო-ბრავიზარ ყურადღებებს არ აქცევს.

ტიტე.

კამოს ქუჩას ტლაპო ჰფარავს, ვერ გაივლი უშიშარად, მის სიღრმესთან მიქარვია ნოსირის და ხონის შარა.

კამოს ქუჩას ტლაპო ჰფარავს, უძიროა, არ აქვს ფსკერი, შიგ ადვილად შეცურდება ხომალდი და კრვისერი.

ტლაპო ჰფარავს ისე ვრცელი, ვერ გასწვდება კაცის თვალი; ჭავჭავაძის სკოლის ახლოს შიგ კისრამდის ჩაფეფალი.

ამომიღეს ცოცხალ-მკვდარი, „უფლის მაღლი შემეწია“, რომ გავხედე „ქუჩის“ სივრცეს მომაგონდა ვენეცია.

დამამარცხა სტიქიონმა, მოკვდა წინსვლის ზრახვა წმინდა, გადარჩენას ვლამობ მხოლოდ, გამოვბრუნდე უკან მინდა.

მაგრამ გულში დემონური მტანჯავს ფიქრი უხილავი: ეს ზღვა როგორ გადმოვცურო— არ მაქვს ფრთები, არ მაქვს ნაეი...

სულში გაჩნდა სამღურავი, გრძნობამ იწყო აფეთქება, მოლოტოვის რაისაბჭოს მივუძღვენი გულში „ქება“.

ოხ, აქ მისი ემადინიც ვერ გაივლის უშიშარად, იაპაყოს! მის ქუჩასთან მიქარვია ხონის შარა.

ბ-ზა.

აკაპის ბუღაღვანი

(ანაკალაჰი, ალაშულაღის რაიონი)

სოფლად არკასი დანიშნეს პირუტყვის აღმწერელად, აილო ფანქარ-ქალადლი, საქმეს შეუდგა ხელათა. შეჰყარა: ნიშა, ნიკორა, თაფლა და ლომა-რქიანი, გვარები ჰკითხა, შეავსო სია სამარშინიანი.

აღრიცხა, შეიმუშავა „ზუსტი“ რამ სია, ასეთი: ასხუთ სულ ხარში გამორჩა სულ რაღაც ცოტა... ასერთი.

სოკა.




საყვედური

— ცუდად მუშაობს ჩვენი სკოლის დირექტორი, ათი დღეა ფანჯრის მინა გავტეხე და ჩახმა დღემდე ვერ მოახერხა.

ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

შესრულდა 20 წელი მას შემდეგ, რაც გამოიცა ლენინური დეკრეტი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.
სსრ კავშირი ამჟამად წარმოადგენს მაღალი კულტურის, მასობრივი მცოდნეობის, საყოველთაო საშუალო სწავლების ქვეყანას.



მონუხის ვაჟები

- სწუინთ ბავშვებს რომ პაპა ასწავლით.
- რატომ?
- ჯერ ბავშვებმა ასწავლეს წერა-კითხვა, ახლა-კი მონუხი ამაცადინებს...



პატარა და-ძმა, ციალა და ჯუმბერი, სხვებზე ნაკლებ არ ემზადებოდნენ ოჯახში ახალი წევრის შესახებდრად.

მათი დედა, თალიკო, ფეხმძიმედ იყო.

თალიკოს მოკლე ხანში ტყუბი ქალ-ვაჟი შეეძინა.

სიხარულით იცის ოჯახი.

ოთხი მერცხალი ჭიკჭიკობდა ოჯახში.

— ნამდვილი სტახანოველი ხართ, ნამდვილი დამკვრელი, გეგმა ორასი პროცენტით შეასრულეთ! — ეხუმრებოდნენ და ულოცავდნენ ბედნიერ ცოლ-ქმარს.

მეორე ქალაქიდან დედა ესტუმრა მელოგინე შვილს.

— რა ამბავია ზედიზედ მიყოლება ამდენი ბავშვებისა! — შეხვედრისთანავე უსაყვედურა სიდედრმა გერონტის.

— ასე სჯობია, დედი, მალე მოგვესწრებიან! — არ შეიფერა სიდედრის საყვედური სიძემ.

— შენ რა გენადვლება, ჩემმა შვილმა იკითხოს თორემ.. გაგონილა ასეთი უღმერთობა და ცოლის ასე დატანჯვა; — თავისას გაიძახოდა სიდედრი, რომელიც ახლა შვილს მიუბრუნდა: — გოგო, შენც რამ გამოგილია ჭკუა თავში, რომ ტყუბი გაგიკეთებია?

— დედა რას ამბობ! ეს ბედნიერება!

— რას სულელობს ეს დედაბერი! — თავისთვის ჩაილაპარაკა გერონტი და მეორე ოთახში გავიდა.

პატარა ციალაც მიხვდა, რომ ბებიას არ მოსწონდა მათი ეს ბედნიერება და სიხარული. მოწყენილი მივიდა ბებიასთან და უთხრა:

— მამამ თქვა, ლას სულელობს ეს დედაბერი! ლატომ გეწყინა ბაიების დაბადება?

— სულელი მამაშენია და დედაშენი. მამაშენს დედაშენი არ უყვარს, მოკლას უნდა! — არ ცხრებოდა ჭირვეული მოხუცი.

— დედა, რას ლაპარაკობ! გერონტიმ არ გაიგონოს, ეწყინება.

— ეწყინება, თორემ ხახვი არ გადამაჭრას თავზე. თუ ჩემი მოსვლა ეწყინა ვაჟბატონს, მოყვრები აქ მასზე უკეთესები მყავს, ქე წავალ მათთან.



უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით გერონტი ბაზარში წავიდა და თან წაიყვანა შინამოსამსახურე.

— თვალყურს თუ ადევნებ, შვილო, შენს ქმარსა და შინამოსამსახურეს! — ეჭვიანი შეკითხვა მისცა დედამ თალიკოს.

— რას ამბობ, დედა! დასავით უცქერის გერონტი მას. პოლინა ისეთი პატიოსანია, რომ მას ჩვენი ოჯახის მკვიდრად ვთვლით! — საშინლად ეწყინა თალიკოს დედის უსაფუძვლო დაეჭვება.

— ბოლოს ისე „მკვიდრი“ არ გაგიხდეს, რომ ამ შენი თავნაკლავი ოჯახიდან პანდურის ამოკვრით გამოგადოს და შენს ალაგას თითონ არ მოკალათდეს!

— შენ გენაცვალე დედა, თავი დაანებე მაგ საშინელ ლაპარაკს. ოჯახი არ ამირიო, სხვაგან არ თქვა ეს უაზრობა.

— აბა, ერთად რა უნდოდათ ბაზარში! — მაინც თავისას ამბობდა ჭირვეული მოხუცი.

* *

გერონტის ბევრი რამ ეყიდა ბაზარში.

— ეს საკაბე რომ რვა მეტრი უყიდნია, ორი ერთნაირი კაბა რად გინდა? სხვადასხვანაირი ვერ გიყიდა? — თავისებურად შენიშნა სიდედრმა სიძის ნაფაქრზე.

— დედა, ერთი საკაბე ჩემია, და ერთიც — პოლინასი.

— რაო? — შეხტა მოხუცი.

თალიკო ახლა მიხვდა, რომ დედასთან არ უნდა ეთქვა ის, რაც თქვა, მაგრამ გვიან იყო.

— რა იყო, დედა?

— რომელი პატიოსანი კაცი ყიდულობდა ცხდის და შხა... სამსახურე გოგოსათვის ერთნაირ საკაბეს? ამას მეტი მიხედუქნა და თავმოყვარეობა არა გაქვს, ქალო?

— დედა, შენ არ იცნობ პოლინას! იგი ჩვენი ოჯახის ბუჯია... აი, დედა, გერონტიმ ეს საკაბე შენ გიყიდა. ხომ...

მაგრამ დედამ თქმა არ დააცალა შვილს:

— მაკრინე ლიკლიკაძეს კაბით ვერავინ მოქრთამავს და ვერც თვალებს აუხვევს. — უთხრა შვილს და გაბრაზებული მაკრინე სიძესთან მევიდა მეორე ოთახში.

გერონტიმ მოისმინა სიდედრის ლანძღვა-გინება და საყვედურები.

— იცი რა გითხრათ, — გაბრაზდა გერონტი, — თუ მოყვარე ხართ, ოჯახს ნუ მირევთ. ჩემს ოჯახურ საქმეებში ნუ ერევით. მე თქვენი ქალიშვილი შევირთე ცოლად, და არა თქვენ, რომ ჩემს ოჯახში ასე იქცევით და თავისთავს დიდ უფლებას აძლევთ!

— უი, უი, ეს რა მითხრა! ფუი შენს კაცობას.

ვინ იცის, რით გადავდებოდა ეს ამბავი, რომ ჯუმბერი არ შემოვარდნილიყო ოთახში და ბებიასთვის არ ეთქვა:

— ბიძია აღმასხანი მოდის, ბებიკო, და დაიმაღე.

აღმასხან თალიკოს ბიძა იყო, მაკრინეს მამა. ისინი ერთმანეთს ემდურებოდნენ.

მართლაც მაკრინემ დაავლო ხელი თავშალს და მოუსვა სხვა მოყვრებთან.

— ოხერი ოხერთან მივა, აბა სად წავა! — ჩაილაპარაკა მან.

— იცი, ბიძიკო, ახლა აქ მაკრინე ბებია იყო, შენი შეეშინდა და წავიდა! — მიახალა ჯუმბერმა აღმასხანს.

— მართლა? — ჰკითხა აღმასხანმა გერონტის.

— იყო და გულზეც გამხეთქა.

— საწყალი ჩემი ძმა, შენი სიამამრი, ახლაც ცოცხალი იქნებოდა, რომ მაგ კუდიანს არ მოქსპო მისთვის სიცოცხლე! — სთქვა აღმასხანმა და ჯუმბერი მუხლზე დაისვა.

— ლატომ ტყუი, ბიძია, — მეორე მუხლზე ჯუმბერის პირდაპირ დაუჯდა აღმასხანს ციალა.

— აბა რას ვსტყუი! — შეეკითხა აღმასხანი.

— ბებია ფინთიბ, მალა კუდი ალა აქვს, მე ვიწექი მასთან! — ციალას ამ სიტყვებზე ყველას გაეცინა, მოწყენილ და დედაზე გულმოსულ თალიკოსაც კი.

— რუსები ასეთ სიდედრს „усовершенствованный чорт“-ს ეძახიან — განაგრძო აღმასხანმა. — თურმე მოლა ნასრედინსაც მაკრინესთანა სიდედრი ჰყავდა. ერთ დღეს თურმე მოლას ახარეს — შენი სიდედრი მდინარეში დაიხრჩო. მოლა წავიდა ამ სასიხარულო ამბის შესამოწმებლად და დამხრჩვალს ძებნა დაუწყო მდინარეში არა დინების მიმართულებით, არმედ სათავისაკენ.

— მოლა, ამას რას შვრები? — შეეკითხნენ მას.


— ჩემი სიდედრი ისეთი უკუღმართი ქალი იყო, რომ იგი დახრჩობის შემდეგაც უკუღმართად მოიქცეოდა და სწორედ აქვთ წავიდოდა დინების საწინააღმდეგო მიმართულებით სათავისაკენ! — მიჯგო თურმე მოლამ.

ახლა კიდევ მეტად გაღიხარხარეს.

თალიკო ცდილობდა სიცილის შეკაფებას, მაგრამ ვერ ახერხებდა.


ბავშვებმაც გაიცინეს.

თალიკომ პირველად დაიჭირა ჩვილების სახეზე ღიმილი. ასე ეგონა — ისინიც ბებიაზე იცინიანო. სახლი ისევ სიხარულით გაივსო.



ვიდროგასაჭირი


სოფ. გურამეხა და სოფ. კიწისა (გეგეკორის რ.) შორის მდებარე ხიდი წყალდიდობამ წალეკა. მოსწავლეებს წყალში გატოვებულ ხიდებთან უხდებოთ.



—საკვირველია: გაკვეთილს რომ ვისწავლი იმ დღეს წყალი ყოველთვის მატულობს და სკოლაში ვერ გავდივარ. როცა გაკვეთილი არ ვიცი წყალი კლებულობს, მაგრამ სკოლაში რა მიმიყვანს!

ჩამოაყალიბა

რგვალ-ჭალის (კასპის რაიონი) კოლმეურნეობის მინდვრად მითრეებულნი ჩალა წვიმამ გააფუჭა.



— რას იტყვი, ყოყინავ. მუშაობა ხვალბიან, თუ ხიმშილი?
— მენა, შვილსა, ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, არც მუშაობა მიყვარს და არც ხიმშილი...

დაზარალებული „რატონალიზატორები“

სოფ. წიაღუნის (სამტრედიის რ.) სამკითხველს სახურავი და კიბეები დაზარალებული აქვს. შიგ, როგორც გარეთ ისე ჩამოდის წვიმა.



— სახურავიდან გადმოვარდა?
— არა, სამკითხველოში ვიყავით სახანაოდ და იატაკში ჩაფარდა ფეხი.

„სხვა მოდის და ის კი არა“

მანავის კოლმეურთა (საგარეჯოს რაიონი) სკოლაში მოსწავრებით მდებარეობს.




— ორი დღეა ქმარს ველოდები და კიდევ არა ჩანს.
— ხად არის, თბილისში წავიდა?
— არა, ქა; თბილისამდე ორი დღე რად უნდა, კოლმეურთა ტახშია წასული მარილის სასყიდლოდ.

ახალსოფლისური ვეშუფასებლობა

ახალსოფლის (ყვარლის რ.) ვეტექიმი ზ. გელაშვილი კოლმეურნეებს სახლში გაყოლაზე და ავადმყოფ პირთ ტყვის გასინჯვაზე უარს ეუბნება.



— კამეჩის ერთი ფეხს მოჩინებს მიწით კაცმა ხუთზე-ტო კილომეტრის გაიაროს და ორივე ფეხი იტკინოს, ეს არის ხამართალი!



1- გიტომ, დიტომ და მიხომ გადასწყვიტეს თითო ბოთლი ღვინო ყველათ საკომედიურნიო ბაზარში და სადილზე „ლუკმა გადაეგორებინათ“. მივიდნენ ერთთან.
 — სადაურია ღვინო?
 — გურჯაანული.
 — აბა, გაგვასინჯე!
 — გასინჯეს პატარა ჭიქებით.




2— აბა, ახლა სხვაგან ვნახოთ. ეს სადაურია?
 — კარდნახული.
 გასინჯეს მოზრდილი ჭიქებით.




3— ეს სადაურია? — მიადგნენ მგსაშეს.
 — ატენურა.
 გასინჯეს დიდი ჭიქებით.



4— თეთრი გაქვს? — ჰკითხეს მეშვიდეს.
 — გვაქვს, ცოლიკურია.
 ნახეს ჭაშნიკი ჩაის ჭიქებით.



5— ერთი შენი ღვინოც გაგვასინჯე! — მიუბრუნდნენ შეთვრისმეტეს.
 — მაგაზე რაგად გაწყენინებთ, მისრთვით.
 გასინჯეს უზარმაზარი ჭიქებით.



— ღვინო გაქვს კარგი? — მიადგნენ უზარბოშებულნი მეთექვსმეტეს.
 — კარგია, — უბახუხა გამყიდველმა და თითო ლიტრი ჩამოაყსხა.
 — აბა მისრთვით, ზესტაფონურია, ზესტაფონური!
 მეგობრებმა იქვე მოიყუდეს და შემოსძახეს:
 — ზესტაფონო, ზესტაფონო მშვიდობით...

შოთას „აგრესია“

(ს. მუხურა, ტყიბულის რაიონი)



დასხდნენ ქეიფად ბიჭები,
სთქვეს: ჩავისველოთ ყელია.
ანსენეს ღმერთი მაღალი,
ქრისტე და წმინდა ელია.

ურთერთს სიკეთე უსურვეს,
მაგრამ დახედეთ ღვინოსა?
შოთას შეუქმნა პრობლემა
თავი არ შეირცხვინოსა.

სთქვა: დრო დამიღვა, ეხლა აქ
რომ ვასახლო გვარით,
ეძგერა ღობეს, მოგლიჯა
ადლზე უგრძესი სარიო.

შეპყვილა თანამესუფრეთ:
პირქვე დაემხვეთ ყველაო,
თორემ თავს ვფიცავ, თვით ღმერთმაც
ვერ შესძლოს თქვენი შველაო.

რა მოისმინეს ბიჭებმა,
ესე ბრძანება ფიცხელი,
არ დამორჩილდნენ, თვითონაც
სარებს მოკიდეს მყის ხელი.

შოთას უთაქეს გოგრაზედ,
სისხლმა იჩქეფა ღვარადა,
„ეის“ ძახილად უქციეს
ჩვენს რაინდს — „ოსო ვარადა“.

იფიქრა: მიჯობს მოგვს
ვეწვევი ექთან ქეთოსა,
რომ ნაცემ — ნატყვებ თავზედა
„პაჩინკა“ გამიკეთოსა.

მართლაც გაიქცა ვაჟაკი,
არ დააყოვნა წამიო...
მას შემდეგ უკვე გავიდა
საკმაო დრო და ჟამიო.

შოთა კვლავ რემონტს იკეთებს,
გაკვეთილები ცდებაო...
ასეთ „პედაგოგს“ ნიანგო,
ჩანგალი მოუხდებაო.

გ. მუხურელი.

გ ა ნ კ უ რ ნ ე ბ უ რ ი

— ვანო არანხეშვილი ერთდროს საავადმყოფოს მთავარი ექიმი და ამავე საავადმყოფოს დირექტორი გახლავთ. ყველას უყვარს გი, როგორც კარგი სპეციალიტი და ენერგიული საბჭოთა მუშაკი. — ასე გამაცნო შორიდან ვანო მისმა პირადმა მდივანმა, ჩემმა კარგმა მეგობარმა, შალვა და ვანოს კაბრიეტში შემოყვანა. გამგემ მოწაწვებით ჩამომართვა განცხადება, რომელიც მის სახელზე შევიტანე და რომელენიმე ჯერ გადაიკითხა. მე შევეცქერი მას თვალღებში და ბრაზი ააზრახოს, ფიქრობ: ალბად კითხვა არ იცის და იმისთვის უნდება ამდენხანს პატარა განცხადების წაკითხვას მეთქი. გამკის პირადი მდივანი, შემომცქერის და უღვაშებში ეცინება.

„რამ გააკეთა ეს ოხერი... მე ვბრაზდები, ეს კი იცინის“ — ვამბობ გუნებაში.

გამგემ ერთხელ კადეც გადაავლო თკალი ჩემს განცხადებას, ჩახეილა, მეზუთვეჯერ უკვე ხმაბაღლა წაკითხა, წაა ერა რეზოლუცია და უკან დამბრუნა.

პირადმა მდივ ნმა თავის ოთახში შემოყვანა, ჯერ ბოდიში მოიხანა იმისათვის, რომ ის იცინოდა იმ დროს, როცა მე გამგის პაუზის ცდაში ვბრაზდებოდი და მერე მომიყვანა პატარა აბაჯს, რომლის გახსენებამ მას სიცილი მოგვარა.

— არანხეშვილი ყოველმხრივ კარგი მუშაკია, ხოლოდ წინათ ერთი დიდა ნაკლი ჰქონდა, სახელდობო ის, რომ, ენდობოდა რა თანამშრომლებს, ხანდახან წაუკითხავად, მათი ხეპირი გადმოცემს თანახმად ადებდა საქმან ქაღალდებს რეზოლუციის. ა. და რაწმუნდი რომ ეს ასე იყო — მითხრა მდივანმა და 2 განცხადება და ერთი ბრძანება მომაჩვენა ხელში. მეათეფელი თუ არ შეწუხდებდა ამ წერილში მოვიყვან მოკლედ ამ განცხადებებისა და ბრძანების შინაარსს გამგის რეზოლუციებთანად.

საავადმყოფოს გამგეს 1

ბეტრე ლორთქიფანიძის

განცხადება

გთხოვთ ნება დამართოთ ჩემი ავადმყოფი საავადმყოფოდან გაეყვანო, ვინაიდან ოჯახს ნატრულობს.

განმცხადებელი პ. ლორთქიფანიძე.

განცხადებას ასეთი რეზოლუცია ელო:

ამხ, ლორთქიფანიძე!

თქვენი გარდაცვალებული ძმა ავადმყოფობის მიზეზიან გამოსარკვევად უნდა გავკვეთოთ. ამიტომ ჯერჯერობით მკედარს საავადმყოფოდან ვერ გაგატანთ.

საავადმყოფო გამგე: ივ. არანხეშვილი.

რეზოლუციის წაკითხვის შემდეგ სიცილი ამიტყდა. მდივანმა მეორე განცხადების წაკითხვა მოხოვა. მეც განვაკრძე კითხვა.

საავადმყოფოს დირექტორს

ტიკიკო მეფარიშვილის

განცხადება

ამხანაგო დირექტორო, მოგახსენებთ რომ ბებიაჩემი გარდაიცვალა თქვენს

საავადმყოფოში, ამიტომ გთხოვთ მომცეთ ცნობა ბებიაჩემის გარდაცვალების შესახებ.

განმცხადებელი პ. მეფარიშვილი

ამ განცხადებას კი ასეთი რეზოლუცია ჰქონდა:

ამხ, მეფარიშვილს

მოელაპარაკეთ ჩემ საქმეთამართველს და თუ ადგილი გვექნება თქვენს განცხადებაში მოყვანილ პირს მივიღებთ საავადმყოფოს დამის დარაჯად.

გამგე ივ. არანხეშვილი.

— ეგვეც წაკითხეთ ერთი. — მითხრა სიცილით მდივანმა და ბრძანებაზე მიმოთიქა

ბრძანება №45

საავადმყოფოს გამგე ივანე არანხეშვილი იმისათვის, რომ მოსულ განცხადებებსა და საქმიან ქაღალდებს ხანდისხან წაუკითხავად აწერს ხელს, მოხსნილ იქნეს დირექტორობიდან.

საავადმყოფოს დირექტორი ივანე არანხეშვილი.

თავისი მოხსნის ბრძანება ასე „გააფორმა“ არანხეშვილი:

ჩემს მოადგილეს

ეს ბრძანება დამუშავდეს თანამშრომელთა საერთო კრებაზე და გატარებული იქნეს ცხოვრებაში.

გამგე ივ. არანხეშვილი.

ამიხსენი თუ ძმა ხარ რაშია საქმე, ეს კაცი ბრძანებას თავის თავზე თავათ წერს და თავათვე რეზოლუციას ადებს — გაკვირვებულმა მივმართე მდივანს.

— საქმე იმაშია, რომ ზემოდ მოყვანილი ორი განცხადება და ერთი ბრძანება დაწერილია ჩემს მიერ, რეზოლუციები კი დადებულია გამგისაგან. ის იშვიათად კითხულობდა ხოლმე მიტანილ ქაღალდებს მე გადავწვიტე, რომ ეს ცუდი ჩვეულება მისთვის გადამევიწყებო. ვისარგებლე რა იმ შემთხვევით, რომ ის რეზოლუციებს განცხადებებს განუხილველად, ზეპირ ახსნის თანახმად აწერდა ხოლმე ქაღალდებს, დაეწკრე ეს განცხადებები, ბრძანება და მიუტანე რეზოლუციის წასაწერათ მას. ის არც კი დაფიქრებულა, ჩემი ახსნის შემდეგ, ისე, დაადო რეზოლუციები ამ ქაღალდებს.

— მერე?

— მერე ის, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ამხანაგური საუბრის დროს, ვაჩვენე მის მიერ „განხილული“ და რეზოლუციებად დებული ეს ქაღალდები: ის ჯერ გაბრაზდა, მერე კი გაიცინა და მადლობა გადამიხანა იმისათვის, რომ სიფხიზლზე მიუთითე ეს იყო რამოდენიმე დღია წინათ და სწორედ ეს იყო მიზეზი რომ დაშინებულმა გამგემ შენი განცხადება დღეს რამოდენიმეჯერ წაკითხა. ხომ გაგიგონია ძველი ანდაზა — „უაფაზე დაშინებული დოააც სულს უბერავდაო“ ახლა ის ფრთხილობს და მე მგონია ასეც უნდა...

პ. ბლიაძე.



თუმცა გვიან გვერ ამ წერილს,
ნუ მიწყენ, ჩემო ნიკოლოზ,
ჩემზე კეთილი ამ ქვეყნად
მაინც ვერავინ იყოლო,
შენზე ფიქრმა და დარღებმა
ლამის თან გადამიყოლოს!

სიზმარში ვნახე უცხვიროდ,
ვაი თუ ცუდად ახდესო,
თუ ეშმაკობა გაგიგეს
შენი გმირობაც წახდესო.
„ცული საქმენი ქვას დადევ,
გამობრუნდები დაგვადესო“.

სასამართლოსგან მსჯავრდებულს
ფარავ ფრუდიე ნიკალას,
რადგან ხალტურის საქმეში
ერთგულად შარას გიკვალავს,
რადგან არჩეულ საქონელს
ის შენთან ერთად იპარავს.

მაგრამ ვერ იხსნის „სპეკულირის“
მფარველი შენისთანაო.
დაეხსენ, თორემ ვინ იცის—
იქნებ შენც მიჰყევ თანაო,
პანდურს მიიღებ საჩუქრად,
ვიხათრებს ვინმე განაო!

მართალი არის დიდი ხარ,
მუშტმწყვანილი მსუქანი,
ვის შეაშინებ, ვაჟკაცო,
შენი მუშტით და მუქარით.
ხომ არ გგონიათ საწყობი
მამისეული ღუქანი?!

სპირიდონ ხაბულიანი
გიმშვენებს მალაზიასა,
ფასთა დარღვევა სჩვევია
ფულის მოყვარულ ძიასა.
ვიცი შენც ეწილადები,—
მიტომ არიდებ ზიანსა.

გადაწყვეტილებას შეაქვს
შენი სვანიძე გაბრუნებულ
გეყოთ, რაც დღემდე ფართალი
თქვენი ჯიბისთვის აბნიეთ!
ერთად მოძებნით სოროებს,
თუ სადმე ხელი დაგრიეს!

მომწერე... იქნებ ცუდად ხარ,
შენმა ცოდვებმა გიწია,
თქვენს ნახალტურებ გროშებზე
შური ხომ არვინ იძია?
„ნიანგს“ არ შეატყობინონ,
თავს გაუფრთხილდი ბიძია!

თორემ თუ ერთხელ მიგიხვდნენ,
თორემ თუ ერთხელ ჩაფლავდი,
„ნიანგის“ მსჯავრის წინაშე
ვერ გასჭრის ენა მთაფლავი,
იმის ჩანგალზე აგებას
სჯობს გაითხარო საფლავი.

შენი რახი.

ორი „ძიძა“


— გაიგე ახალი ამბავი?
— რა?
— დიდი შეხლა-შემოხლა ჰქონიათ გუშინ
წულუკიძის რაიონის სოფ. მათხოჯის საბჭოს
თავმჯდომარეს და წყალთა ტრესტის დირექ-
ციას.
— რაში ყოფილა საქმე?
— რაში და ჩვენს სოფელში რომ პატარა
ხილია ჩანგრეული, თურმე იმაზე ყოფილა
დავა: ვინ უნდა გააკეთოსო.
— მერე?
— მერე და სოფ. საბჭოს თავმჯდომარეს
უთქვამს, რაც ხილი ჩინგრა მასუკან აგერ
ცხრა თვე გავიდა და ამ ხნის განმავლობაში
თექვსმეტი ოქმი გამოგიგზავნე, რათა ხილი
აგეშენებიათო. უკანასკნელად თურმე ცნობე-
ბიც გაუგზავნია სადაც წერებულა, რომ ცხრა
თვის განმავლობაში წყალში ფეხით გასვლის
დროს (ხიდის ჩანგრევის განა) უდროოდ და-
ლუპულა ცხრა ინდოური, ერთი გოჭი, თო-
რმეტი ფრთა წიწილი, სამი ცხვარი და ხუთი
თხა, რა ზარალიც წყალტრესტმა უნდა აანა-
ზღაუროსო.

— კი, მაგრამ წყალტრესტის დირექციას
რა უთქვამს?
— რა და თავ იქვა იხალე და მუცელში
სამართლებელი თუ არ გააკეთებო. შენი გამო-
გზავნილი ოქმები ძმარში დაალებ და შუბ-
ლზე შემოიდევ, საგზაო სექცია შენ გყავსო,
გზაზე შრომითი მონაწილეობაც შენ გეკითხე-
ბაო და რა თავმჯდომარე ხარ ერთი პატარა
ბაგირიც ვერ ავიშენებიაო.
— ვაცხონე მისი მამა, მერე და თავმჯდო-
მარეს რა უთქვამს?
— რა და ამდენი ოფლი რაზედ დამადგრე-
ვინე ოქმების წერაში თუ არ აპირებდი გაკე-
თებასო. წყალმა ხილი დაანგრია, წყლის თა-
ვმჯდომარე შენა ხარ და თუ შენ არ აანაზ-
ღაურე ზარალი მაშ ვის მოვთხოვო?
— მერე, დირექციამ რაო?
— რა და ასე უთქვამს: ჩემო კორნიოზ,
ზარალი პირდაპირ ყინვაზე დააწერე და თუ
პირდაპირ მიჩვენებ რომელმა წყალმა დაანგრია
თქვენი ხილი, მაშინ შენი ხმალი და ჩემი კი-
სერი თუ ხილი კი არა, სასახლეს არ ავიშე-
ნოო.

— უყურე შენ, მერე მერე?
— თუ აგრეა საქმე და აწი მე მიყურეო
უთქვამს კორნიოზს სევასტისათვის... სამი წე-
ლიწადიც რომ ვსდიო ამ საქმეს, ეს უღვაში
ალარ შესხას, თუ მაინც შენი ხელით არ გაგა-
კეთებინო ის ხილიო. შენ იცი და შენმა ბაქი-
ბუქობამო, უთქვამს სევასტის და ჩხუბიც
ამით გათავებულა... მაგრამ...
— მაგრამ რა?
— წუხელის თავმჯდომარე რაიონში წასუ-
ლა საჩივრელად, სიბნელის გამო დანგრეულ
ხილზე გადავარდნილა და... კინალამ სული
ჩაუბარებია მიქელისათვის.. მიღწილ-მოღწი-
ლი ძლივძლივობით გამოუყვანიათ და საავად-
მყოფოში მოუთავსებიათ. იქ სევასტის დახვე-
დრია იმავე ხიდის საშუალებით კისერმომსხ-
ვრეული.
— ახია მაგათ თავზე, მერე, მერე?
— მერე და ასეთი ლექსიც გამოუთქვამთ
მათზე:
ცხრა თვე არის ჩხუბი მოსდით
სევასტის და კორნიოზსო,
ხილი წყალმა დაანგრია,
ნეტავ ახლა ვინა ზღოსო.

კიკო.





ამხანაგო ნიანგო

ცხაკაიას რაიონის პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში წიგნებს თავგები შემოეჩვიენ და უმოწყალოდ ანადგურებენ. ბიბლიოთეკარი რაისა გუნია თვითონ თავვივით დაფრთხა და მთელი საათობით სხვა დაწესებულებებს აფარებს თავს. გათამამებული თავგები აძლიერებენ იერიშს წიგნებზე და იქმნება მომენტი—მეტად კრიტიკული. არის იმის საშიშროება, რომ წიგნების განადგურების შემდეგ თავხედი თავგები უშუალოდ ბიბლიოთეკარს მიჰყოფენ ხელს.

ეს არის ახლა ჩვენი თავსატეხი საგანი: როგორ ვინსნათ თავგებისაგან თვით ბიბლიოთეკარი?

ი. რნი.

ამხანაგო ნიანგო!

ლესიკინეში საოცარი ამბები ხდება: ოთხი წელია, ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წისქვილი უქმად დგას და მოუვლელით ფუჭდება. კოლმეურნები 12 კილომეტრზე დადიან მარცვლის დასაფქველიდ. ისინი ფეხით გადიან ხობის წყალში და ხშირად სველი ტომრები მიაქვთ დაშორებულ წისქვილში. დაღობილი მარცვლის დაფქვა კი ძნელია.

ეს ერთი.

აქაური ჩაის საბჭოთა მეურნეობის დახურულ ბაზარზე, საღამოობით, სურსათის ნაცვ-

ლად მხოლოდ ტყემლის არაყი იყიდება. ამ „ეშმაკის წვენი“ შედეგად მეურნეობის სასაღამოობოში ხშირად იმართება კულტურული გაართობა, რასაც ზოგიერთები მუშტი-კრივსაც ეძახიან.

ეს მეორე.

ლესიკინის მეურნეობაში უჩვენეს სურათი „პაპანინელები“. მექანიკოსმა ილია სიკინავამ მხოლოდ მესამე სეანსზე შეამჩნია, რომ ორ სეანსზე სურათს თავდაღმა აჩვენებდა. ეს მესამე.

აქაური...

მაგრამ განა არ კმარა, ამხანაგო ნიანგო?

კ. ლესიკინელი

ამხანაგო ნიანგო!

ასპინძა ხომ იცით?

„თავფარავნელი ჭაბუკი ასპინძას ქალსა ჰყვარობდა...“

ჰო და, ასპინძის კლუბის გამგე ამხ. ხაჩატურიანიც ალბათ შეეკარებულა და თავისი სიყვარულის ობიექტს გარდა ავიწყდება ყველაფერი, მათ შორის რაიონის კლუბიც, რომელსაც არც ორშაბათს აღებს, არც სამშაბათს, არც ოთხშაბათს და არც გამოსასვლელ დღეს (გამოსასვლელ დღეს აბანოში დავდივარო).

ვინაიდან ეს კლუბი გამგის ბინისა და განათლების განყოფილების შემაერთებელ გზაზე მდებარეობს, ამბობენ, გამგე ხაჩატურიანს განზრახული აქვს ასაქცევი გზა გააკეთოს და ისე იაროს განგანში ჯამაგირის ასაღებად, რომ კლუბს განგან ჩაუაროსო.

კლუბის გამგე ალბათ ამას მოახერხებს, მაგრამ რა უნდა მოვახერხოთ ჩვენ, უკლებლოდ დარჩენილმა ასპინძელებმა?

ასპინძელი

ამხანაგო ნიანგო!

მოლას იგავისებური ამბავი მოხდა ქ. სტალინში:

აქაურ მზარეულებს გაუგონიათ, რომ კერძს დადნისფოთოლი უხდება. ერთ აქაურ სასადილოში შევიდა ერთი კაცი და კერძი მოიკითხა მოუტანეს. თეფშში იმოღენა დაფნის ხე ეგლო, რომ მოსადილე ავიდა ზედ და იქიდან დაიწყო კერძის ჭამა.

ხალხმა რომ ეს დაინახა, დაუყვირა: არ ჩამოვარდე, თორემ მოკვდებიო. მოსადილემ უპასუხა: თუნდაც ჩამოვარდე, თეფშში იმდენი მაკარონი ჰყრია და ისე ცომივითაა მოზელილი, რომ არაფერი შეტკინებაო.

მ. თედელუჩი.

ნახ. ღონისა.

კავასის სააგუნგოს რელაქსორები



— ყვავა! ყვავა! ყვავა! ჩვენ საბჭოთა კავშირზე ჭორებს ვავრცელებთ! ხად არის ჩვენი პატრონებისაგან დაპირებული ყველის ნაჭრები?

ფორმალისტი

ნოემბრის თვეში სამი დღე ისეთი გამოცდის პოლუსს მოგვარებდათ. სკოლის ოთახებში და სამასწავლებლოში ისეთი სიცივე იყო, რომ მოქალაქეს პირიდან ჰაერის ამოსუნთქვის დროს კახეთის ორთქლმავალი გვეგონებოდათ.

თეთრწვერა სპეტაკ ზამთარმა
გამოიჩინა თვის ძალა,
გაჰყინა დაბლა ხმელეთი,
სიცივით ააკანკალა.

იძახოდნენ მოწაფეები და ხელებს ისრესდნენ, რომ არ გაჰყინოდნენ.

— სად არის ჩვენი ადგილკომი? ანხანაგო გრიშა, ხომ იცით შრომის კანონი? რატომ ზომებს არ ღებულობთ, ხომ უყურებთ, რომ საყინულეში ვართ. შეშა ხომ გვაქვს, გაათბეთ სამასწავლებლო, გაათბეთ საკლასო ოთახები. — განაცხადეს მასწავლებლებმა.



— არ შეგვიძლია! დეკემბრამდე ვერ გაათბობთ, ნაბრძანები გვაქვს.

2 დეკემბერს ისეთი მზიანი დღე და თბილი ამინდი იყო, რომ ჩვენი ქალაქი ტროპიკულ მხარეს მოგვარებდათ. მოწაფეთა უმრავლესობა და მასწავლებლები სკოლაში უპალტოდ გამოცხადდნენ.

სასწავლო და საკლასო ოთახში ფანჯრები დაეღოთ, „უგარის“ ეშინოდათ. თან სიცივით სახეზე ოფლი ჩამოსდიოდათ.

— რატომ სწამლავთ ჰაერს, რატომ დაგიობიათ ოთახები? ხომ უყურებთ, გარეთ 17 გრადუსი სიბოთა, — მიმართეს კვლავ ადგილკომის თავმჯდომარეს.

— არ შეგვიძლია, ბრძანება გვაქვს, პირველი დეკემბრიდან უნდა გაათბოთ.

აბიტატორი

მონაგარიზე გერმოგენ სპირიდონიძე არჩევნების წინ აბიტატორად გამოჰყვეს და რამდენიმე სახლზე მიაშარეს. საქმეს ხელი ბეჯითად მოჰკიდა, გადაიკითხა და ზედმიწევნით შეისწავლა საჭირო ინსტრუქციები, დამხმარე ლიტერატურა და საქმეს შეუდგა. ყველგან წარმატებით ატარებდა აბიტაციას, ბოლოს გარეუბანში შეიარა. პირველ ბინაში 70 წლის დედაბერი დახვდა.

— ჩვენში ბებიკო, ოთხფორმულიანი არჩევნებია...

— საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული! — მოუჭრა ბებიკომ.

აბიტატორი შეფიქრდა: ვინ იცის, იქნებ ბებიკო ჩემზე უკეთ მომზადებულია და მე თვითონ რომ შეცდომაში დამიჭიროსო. ამიტომ თემა შეცვალა.

— შეამოწმეთ სიაში თქვენი გვარი?

— შემოწმებულია, 24 დეკემბერს, დილით საარჩევნო უბანში ვიქნები.

— ყოველმხრივ საქმის კურსშია. თვითონ გამოდგება აბიტატორად. — გაიფიქრა გერმოგენმა და მეორე ბინაში შევიდა. იქ მას სოფლიდან ჩამოსული კოლმეურნე დაუხვდა.

— ეს კი აბიტაციის ნამდვილი ობიექტი იქნება! — გაიფიქრა კმაყოფილად გერმოგენმა და საქმეს შეუდგა.

— ჩვენი არჩევნები დიდად განსხვავდება ბურჟუაზიულ ქვეყნების არჩევნებისაგან.

— რასაკვირველია, განსხვავდება, — ჩამოართვა სიტყვა კოლმეურნემ, — ეროვნება, სქესი, ქონებრივი მდგომარეობა, ჰასაკი, ერთი ადგილზე ცხოვრების ხანგრძლივობა და სხვა



მთელი რიგი დაბრკოლებები, კომედიად ხდის კაპიტალისტურ ქვეყნებში საარჩევნო უფლებას.

გერმოგენი მიხვდა ვისთავაც ჰქონდა საქმე და მესამე ბინას მიაშურა. ბინიდან შინამოსამსახურე ქალი გამოვიდა, ის უკვე გამზადებული იყო სადღაც წასასვლელად.

— მოითმინეთ, აბიტატორი ვარ, შინაურები გააფრთხილეთ, ჩემი საუბარი დიდხანს არ გასტანს. — მიმართა მას გერმოგენმა.

— შინ არავინ არის. — მე კი ამომრჩეველებთან მიმეჩქარება. მეშინა არ დაგავიანო, აბიტატორი ვარ.

— ესეც შენი გარეუბანი — კმაყოფილებით გაიფიქრა გერმოგენმა და მომღიძმარი სახით თავის საკუთარ ბინისაკენ გაეშურა.

აბტორი

საკანცელარიო მალაზიის წინ ერთი მოქალაქე იდგა და ნაცნობს ესაუბრებოდა:

— მიკვირს ზოგიერთი აბტორის საქციელი, თითო წიგნს ოც წელიწადს სწერენ, ისე კვდებიან, რომ, მიუხედავად დიდი ტალანტისა, მთელ თავის სიცოცხლეში ორს-სამ წიგნის მეტს ბაზარზე ვერ უშვებენ.



— მართალია, გოეთე „ფაუსტს“ 34 წელიწადს სწერდა, ტოლსტოი... ჰაეჰავაძე...

— ჰო და მეც ეგ მიკვირს. მე პირადად რამდენიმე საათში შემძლია ოცდათი ფორმიანი წიგნი შევადგინო. — და ამ სიტყვაზე საკანცელარიო ნივთების მალაზიაში შევიდა.

— გამოსწერეთ! ახალი წიგნის შესადგენად მჭირდება. — მიმართა მან ნაცნობ გამყიდველს.

— რა? ქაღალდები? ფანქრები?
— არა, მაკრატელი! — და გამოწერილი ჩემით სალაროს მიაშურა.

მჯობნის მჯობი

მალაზიის საათების განყოფილების გამყიდველი სედრაკ ტაბახმელოვი სპეკულაციისათვის დააპატიმრეს და გამსახლში მოათავსეს.


მის კამერაში მისივე პროფესიის მონათესავე ხელობის კაცი იჯდა ნიკო მარცხიანი.

— დიდი ხანია რაც აქ ზიხარ? შეეკითხა სედრაკა.

— მეათე დღეა.
— სად დაგაპატიმრეს?
— სპეკულაციის მამრალბენ ტყუილ უბრალოდ. მე არაფერი არ გამიყიდა შევ ბაზარზე. მხოლოდ ნაცნობები მიცლიდნენ ხელს...

— კარგი გამორჩენა გქონდა?
— არა უშავდა: ერთ საათში ხანდახან ას მანეთს ვაკეთებდი.

— მიჯობნია! მე თითო საათში სამას მანათს ვიგებდი! აფსუსს რა ლუკმა გავაგდე! კიდევ რომ გამიშვან სიცოცხლე აღარ მინდა: მაგისტანა ადგილს სადღა ვიშოვი!



განთიადისას მებობლეგის ხმანდა ლაპარაკმა ძი-
ლი შემაწყვეტინა.

— ქალი არ გესმას? — ადექი, ამბულატორიაში მიი-
რბინე. — უყვიროდა ნეოფიტე ფირფიტაზე მძინარე
ცოლს.

— ამბულატორიაში? რა მინდა იქ?

— ექიმი გამოიწვივ, — ავად ვარ, ყელი გამისევდა...
ვია, ვია... — აკვნესდა ნეოფიტე. მარიამმა საათს
დახედა, სასწრაფოდ წამოდგა, ჩაიცვა ფეხზე და გა-
რეთ გამოვიდა.

— კომპრესი მაინც გაიკეთე, — მიამბა ნეოფიტე, —
მაგრამ მარიამმა, რომელსაც სასახურში დაგვიანები-
სა ეშინოდა, ვეღარ გაიგონა ეს სიტყვები და კარ-
ი გაიხურა.

— მგონია სიტყვებ კიდევ ამიწვია, — ჩაილაპარაკა ნეო-
ფიტემ და სიცხის სახომი იდლიაში გაირტო.

შუადღემ მთაღწია, ნეოფიტე მოუთხენლად ელოდა
ექიმის მოსვლას, მაგრამ ექიმი არსად სჩანდა.

2 საათი იქნებოდა, რომ ნეოფიტეს კარებზე კაკუნი
გასმა:

— მადლობა ღმერთს, მეშველა. — ჩაილაპარაკა მან
და გასძახა: მობრძანდით, მობრძანდითო ექ მო..

— მარტო ხარ? — შემალა კარი ნეოფიტეს მეგობ-
ბარმა არჩილ ბრინჯველმა.

— ჯანდაბა შენს თავს, მე ექიმი მეგონე, — ჩაიბურ-
ტყუნა უკ აყოფილად ნეოფიტემ.

— რას მლანდავ შე კაი კაცო, — წყენით წარმო-
სთქე ბრინჯველმა, — მადლობის მაგიერია?

— ოა ამბავი მოგიტანია? — იკითხა ნეოფიტემ.

— ამ დღით შქი მეუღლე შემხვდა და მითხრა,
ექიმი გამოვუწვივ და საცაა მივაო, ასე უთხარი ნეო-
ფიტესო..

— ჰოო, შენი, ოჯახი ააშენა ღმერთმა, — კმაყოფი-
ლებით წარმოთქვა ავადმყოფმა.

— ჰოდა ახლა ყური მიგდევ, რაცა უნდა ვითხრა.

— სთქვი შეკაცო.

— ხედავ ანას? რა არის? —

— ვხედავ, გახეთია..

— გახეთში ვარ გაწვირილი, მაქებენ ძალიან, ამ წე-
რილმა ენერგია გამოორკვეცა... ამბობდა გახარებული
არჩილი.

— რაო, რა სწვრია?

— წარმატებები მაქვს მუშაობაში.

— რამელ მუშაობაში?

— ექიმობაში..

— რაო? შენ ექიმი ხარ უკვე?

— წელს შევეუდექი მუშაობას, მენდობიან და არც
მე ვარცხვენ. — ამბობდა არჩილი.

— მერე, შე მართლა ოჯახსაქცევო, კაცი გვგდე-
ბი ავინით. ექიმი თუ ხარ, ვერ გამსინჯავ?

— გასინჯვით გასინჯავ, მაგრამ ყელის რა მოგახ
სენო, მე ყელის ექიმი არა ვარ..

— აბა რა ხარ!..

— მე, ძმაო, კუჭაწლავის სპეციალისტი ვარ, კუ-
ჭის წყლული თუ გაქვს, სიამოვნებით.

— დიდი მადლობელი გახლავარ, — გაბრაზებით სთქვა
ნეოფიტემ და ავერდი იცვალა..

სამსახურიდან დაბრუნებულ მარიამს ავადმყოფი სა-
ხლში აკაო დახვდა, მიიკითხ-მოიკითხა და ბოლოს
ქუჩაში დაუწყო ლოდინი.

სალამოს 9 სათამდე ელოდებოდა ის ქუჩაში ქმარს, ან
ექიმს. ბოლოს სიცივის გამო იძულებული გაადა სახლ-
ში შესულიყო.

კარებზე კაკუნი გასმა.

— ნეოფიტე ფირფიტაძის ბინაა?

— დიაღ.

— მე ექიმი გახლავარო, — სთქვა ახლგაზრდა კა-
ცმა ოთახში შემოსვლისას, მაგრამ რა დაინახა გა-
ლილი ცარიელი ლოგინი წამოიძახა:

— მოკვსა?

— რას ბრძანებთ, ექიმო!

— მაშ სად არის?

— თქვენთან წამოვიდა.

— როგორ თუ ჩემთან!

— თქვენთან, რადგან მოლოდინს ვეღარ ვაუძლო,
ექიმმა წასვლა დააპირა.

— ბოდიში ექიმო, — შეაჩერა მარიამმა, — ვინაიდან ჩემი
ქმრისა და თქვენს მოლოდინში მე გავკვირდი უთხოვით
ყელი მაინც გამსინჯო.

— სიამოვნებით, — სთქვა ექიმმა და მარიამს მიუბრუნდა:

და: აბა დააღეთ პირი და სთქვიო, ა!

— ა, აა.. ააა. — ყვიროდა მარიამი.

— ეს ვინაა ჩემს ცოლს წერა კითხვას რომ ასწავ-
ლის? — შეპოილაპარაკა ოთახში შემოსულმა ნეოფი-
ტემ.

— ექიმი გახლავართ.

— მერე ვინ დაგაკალათ რომ ავადმყოფების მაგიერ
ჯანსაღი ადამიანები სინჯო?

— თქვენს მოლოდინში თქვენი მეუღლეს გაციებუ-
ლა და მკვეთრი ანგინის ნიშნები აქვს, როგორ შეი-
ძლება ქუჩაში სიარული, თუ ავად ხართ?

— ის კი შეიძლება, რომ ავადმყოფს აცდევინოთ და
დროზე არ მოხვიდეთ?

— რას იზამო, მარტო თქვენ ხომ არა ხართ, რა
გტკივთ?

— ახლა არაფერი.

— მაშ რას მიბარებდით?

— მაშინ მკვიოდა.

— რა?

— ყელი.

— მერე?

— მერე ის, რომ თქვენს მოლოდინში წყლული
დამწიფდა, ხოლო თქვენს ძებნაში ტრამვაიაში მომიხდა
შესვლა და იქ მომიჩინეს.

— იქ მოგიჩინეს? როგორ, რანაირად?

— ვილაცამ ისე „ზრდილობიანად“ გამკრა იდაყვი
კისერში, რომ წყლული გამიკადა და ამ ნიადაგზე სი-
ცხეზეც დამიკლო.

— თქვენ იცით ახლა რა არის საჭირო? — დარიკე-
ბის კილოთი დაიწყო ექიმმა, მაგრამ ნეოფიტემ შეა-
წყვეტინა.

— საჭირო ის არის, ავადმყოფთან რომ გამო-
გაიძახებენ, მორჩენანდე მიხვიდე მასთან.

კუჭური გოგიაზვილი

ქალაქვარგლისა

ანუ ერთი წარწერის თავგადასავალი

ნან. კანდელაკისა.



იყო...



და...



არა იყო რა.



მამა მამხარა

- იცი, მე და მამაჩემი საბავშვო უნივერსიტეტში ვიყავით.
- მე'ე, რა გიყიდა?
- კი არ მიყიდა, მე ვუყიდე, კოსტუმი ..

კითხვა: შეუძლია თუ არა კაპიტალისტურმა შესვლა კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორც ხმას არ მისცემს არჩევნების დროს რეპროდუქციონერ კანდიდატებს?

პასუხი: არ შეუძლია, რადგან ის უკვე იყოფება პარლამენტის კანდიდატის ქარხანაში.

იაზად და ნისიად

კითხვა: ჰგავს თუ არა ერთმანეთს ბურჟუაზიული თეატრი და ბურჟუაზიული პარლამენტი? თუ ჰგავს რაში გამოიხატება მათი მსგავსება?

პასუხი: ჰგავს, ორივე მათგანში იყიდება ადგილები.

ჩვენი მეკუჩა ქებუნი

სამი არტელი შემოკრბა ამაზე ჰქონდათ ცილობა: სად გაემართათ თორნე და იმისი მოწყობილობა. ააგეს სახლი, თორნე და მზად იყო პურის საცხობი. მაგრამ პირველად პურები, სულ მალაშედ იყო ნაცხობი. უსაყვედურეს, ეცადა, მალე ასწია ხარისხი, ხალხს გრძობის კარი გაეხსნა და პურის ქამის ხალისი. მაგრამ ბოროტში გაგზავნეს ჩვენი მეპურე ქებუნი, დასტოვეს პურის საცხობი კარ-ბოქლომ-დაკიდებული.

კლავდიონ უზმბაგაური

აქეთ ბოთლავსა წიხლსა ვკრავ

(ნოქალაქევი, ცხაკაიას რაიონი)

სოხუმის ინსტიტუტი

კავაკი ნიანგს

(საჯავახო დან)

„აქეთ ბოთლავსა წიხლსა ვკრავ, იქით კასრებსაც ძვრას ვუზამ, კოკასა, ღვინით ავსებულს ერთის მოჭაჩვით ყლაპს ვუზამ. კოოპერატივს განვაგებ,

ფართილელს ვენაცვალელები, სახლი ავაგეს ბარაქით.

გული კი — ლამაზ ქალებით.

ასე მღეროდა ცხაკაიას რაიონის ნოქალაქევის კოოპერატივის გამგე ზარქუა, თავის ამფოსონებთან ერთად, ძიკი ბაძალუას სარდაფში. კოოპერატივზე ჩამოკიდებულ უშველებელ ბოქლომს კი საყიდლად მოსული კოლმეურნენი მწუხარედ შესცქეროდნენ.

სწორედ სალამოს ექვსი საათი იყო, როცა ზარქუა სარდაფიდან კასრით გამოაგორეს და იქვე ეზოში დასდგეს. ზარქუამ იუკადრისა.

— როგორ მიბედავთ ხელის მოკიდებასო? უეცრად წამოხტა, თავის წინ მდ. ნოქალაქევე გადებულ ხიდს მოჰკრა თვალი და პირდაპირ იქი აკენ გაჰკურცხლა.

— მაშ მე ქუდი არ მხურებია, თუ ვაჟკაცობა არ გიჩვენოთო.

იშვირა ფეხები და.. პირდაპირ მდინარეში გადაშლივინდა.

* *

ძვალბილ დალილავებული ზარქუა მისმა ძმა-ბიჭებმა ძლივს გადაარჩინეს, ეხლა ბიულეტენზე არის და მწუხარებით იგონებს განვლილ დღეებს, რომ ჯერ კიდევ ბევრი ღვინის დაღვევა შემეძლოვო.

სოხუმის ჰედინსტიტუტი კობტად დამშვენებულია; ვენაცვალე იმის ფასადს, ზორბა აშენებულია.

ეზო აქეს და... ეზოს არ ჰგავს, ვარდს არ რგავენ, ქვა ვერ ვარდობს, მეზობლების საქონელი ამ ეზოში დანავარდობს.

სკამ-მაგიდის კრიზისია, არსად არი დასაჯდომი, დაფისა და კათედრისთვის სტაროსტების ჩნდება ომი.

სდუდენტების სასადილომ ისახელა თავი მეტად:

ნეტავ გამგემ სოუსისთვის ხორცი ველარ გაიმეტა?


ამ საერთო საცხოვრებლის ბაღლინჯოებს ვერ ვადურჩით, ნიანგოჯან, მოდი, გენახე, მოარჯულე ყველა ურჩი.

საქეიმო პუნქტს განაგებს აქ ვლადიმერ ფირცხალავა, ქანქრის არის მოყვარული ფულისათვის მოზღოკს წავა.

უსახლგროა მადა მისი, თითქოს ჰქონდეს დუქან-დახლი, სადაც ფულებს დაიგულებს იქ აქეს ბინა, იქ აქეს სახლი.

„ეცოდება ღარიბები“ დაწესა მიტომ ტაქსა: ვინც ექვს თუმანს არ ჩაუთვლის არ გადადგამს ის ფეხს არსად.

უანგარო მოღვაწეა ქვეყანა ყავს მადლიერი მოგვეშველე ჰე, ნიანგო, შეუცვალე ჩანგლით ფერი.




პერიზუი

(ახლო მომავლის სურათი)

ბეკი (კაიანდერს):— გვეშველა როგორც იქნა, ჩვენ უკვე საერთო საზღვარი გვაქვს.

ნახ. ა. კანდელაკისა.

რკინიგზის საღებურებზე ბავშვიანი ქალები რიგსგარეშე დებულბენ ბილეთს.



1. მაკომ რიგს გარეშე აილო ბილეთი...



2. შემდეგ ბავშვი ათხოვა თიკოს...




3. თიკომ ჩვილი გადასცა ანიკოს...



4. იკომ ბავშვი ათხოვა მანიკოს...



5. მანიკომ — ათხოვა პალიკოს...



6. — ვაა... ვაა... — აჩხავდა ბავშვი, რომელმაც ველარ იცნო ამ ქალებში რომელი იყო მისი დედა.



ინტერნაციონალი
საბჭოთაო კომუნისტური

ორი განუყრელი მეგობარი კოჩეტი და ხარიტონოვი, საღმშენებლო სექტორის მუშები, ორი დღე ზედიზედ ფხიზლები სეირნობდნენ საბჭოთა მეურნეობის თვალწარმტაც ხეივანებში.

- ეხ, უარაყოფ მინც არ გამოდის. — მრავალმნიშვნელოვნად სთქვა კოჩეტმა და თავი გაიქნია.
- ივინები და ისე გამოდის, თითქო ლოცულობ, რიხი არა გაქვს, რიხი!
- თავიც არ გტკივა! — დაუმატა ხარიტონოვმა.
- იქნებ გავიაროთ სოფელ ალახაძეში? — სთქვა კოჩეტმა.
- არა, ძმაო! აფხაზური რამდენი უნდა დალიო თავი რომ აგატკინოს. აქვე გავივოთ რაშია საქმე. იქნებ სოკოლოვია ავით!
- ამ ლაპარაკში მიაღწენ ადგილს, სადაც დირექცია ბრძანებებს აკრავს.
- აბა ამხანაგო, ეს ბრძანება წამიკითხე, შენ კურსებზე ნამყოფი ხარ. — მიმართა ხარიტონოვმა კოჩეტს.
- კოჩეტმა გაბმით დაიწყო:

„Приказ № 98 по управлению совхоза III интернационала, § 3

- За самовольное взятие жеребца в нетрезвом виде вет-санитару Лычек объявляю строгий выговор“.
- ეჰე, გამოდის რომ ცხენებიც სვამენ. — აი რატომ არის რომ ორი დღეა არაყი არ გვაქვს. — აღელდა ხარიტონოვი.
- არა, ამას სწერენ ვეტ-სანიტარ ლიჩაკზე. — განმარტა კოჩეტმა.
- Ничего подобного! „за самовольное взятие жеребца в нетрезвом виде“.
- ეს ნიშნავს, რომ ცხენი, ულუცი ცხენი ყოფილა წაყვანის დროს არა ფხიზელი, ე. ი. მთვრალი. — გაუსწორა ხარიტონოვმა.
- დასწყევლოს ღმერთმა. რას გავს. ეს! ჩვენ ორი დღეა ფხიზლები დავდივართ და ცხენები კი არაყს სვამენ... და ნახე თუ მინც ჩვენ არ გვისაყვედურონ ლოთები ხართო. — ამოიოხრა კოჩეტმა და მეგობრებმა კოპერატივისაკენ გაუხვიეს...

სიმონაღა.

ნახ. გ. ისაევისა.

სიბრალულით ვივარსებო

(ფოთი)



ხორცკომბინატს დიდ ფართობზე დარგული აქვს ციტრუსები, მის შემკურნეს თვალი მტკივა, სიბრალულით ვიტრუსები. შესევთან: ნიშა ხარი, კამეჩი და ჭრელი ძროხა, გუშინ ღორიც შეეპარათ, ჭამით გული მოიოხა. პაიჭაძე ასე ამბობს: (კომბინატის გამგე არი) რა უშავსო, ციტრუსებზე ხორცი უფრო მარგი არი.

ზიკო.

თავისი საქმის გმორენა

(უზბედი, ხეხვის სახარხი ძარხანა)

აქ სკოლის გამგედ „მუშაობს“ იროდი ნადარაია. მინდა გაგაცნო, ნიანგო, ვინ არის, ანდა რაია. ნატანჯი არის ყოველმხრივ, რა არ იწვალა, „იწვალა“. ჩვენ რომ რვა საგანს გვასწავლის, — თითონ ერთიც ვერ ისწავლა. სამაგიეროდ — კარგად ფლობს, იცის მან მეცხრე საგანი: როგორ დალიოს, გადაჰკრას ღვინო, არაყზე მაგარი.

ლიტრიანი.

თბილისელ რელიგიოზუარულს საყვედური

— შეილო, შემოსატან ფულს კი გადავიხდი, მაგრამ ჩემი რადიო მოიშალა, სულ ლაპარაკს უნდება და ზურნასა და საზანდარს აღარ უკრავს. თუ შეიძლება გამომიცვალეთ.



1. სურათს იღებდა ამერიკელი მისტერი დაუსტინ-სონი.




2.—ნაცნობ დიპლომატებს უნდა გავუგზავნო, ჩქარო, —უყვივოდა ფოტოგრაფს.



3. მაგრამ ფოტოგრაფს სურათის გადაღება დააგვიანდა, მისტერსაც ანთებულმა ყუმბარამ უღალატა.



4. და მივიღეთ დაუსტინ-სონის ნამდვილი სურათი „ანგელოსი მშვიდობიანობისა“.



შინაგო მსხვერპლი

ჭიათურის პირველი ათწლეულის შენობაში მეცადინეობის მიმდინარეობის დროს „დიდი სიტბოს“ გამო უდროოდ ფეხები გაფშოკა ფანჯრიდან შემთხვევით გადაპარულმა სკოლის დირექტორის მიხეილის ციმბირულმა კატამ ხატულამ.

საბნებში გახვეულმა მოწაფეებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს დირექტორის უღრმეს მწუხარებას.

ნაპოეტარი

უხეპარი წამალი

წუხელის კარდანახის სადგურის მორიგე მაქავარიანი მატარებლის შეხვედრის დროს ტელეგრაფის ბოძს დაეჯახა და თავი ოთხად გაიბო, თავის მორჩენის მიზნით სადგურის განათებისათვის კუთვნილ ნავთზე გადაცვლილი კარდანახული უხვად ხუხა და ტკივილი დროებით მოიშუშა.

ი. ზვარისპირელი

კამეჩი

ცხაკაიას ქალაქის საბჭოს კომუნალურმა განყოფილებამ შეიძინა ყვეარი ხარკამეჩი, რომელიც ყოველდღიურად წინ უძღვის გამგის მანქანას ქალაქის ქუჩებში სიარულის დროს ტალახიდან გამოსათრევად.

ა. პერტულავა

საწყალი მიწა

ოჯალეშით შექინძდილებულმა სოფ. ხორბის (ცხაკაიას რაიონი) საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. კალაძემ გაკვეთილზე „მრავალ-

უმიერი“ შემოსახა, შემდეგ მოწაფეებს დაფასთან გამოუძახა და მაგიდაზე „საამური“ ხვრინვა ამოუშვა.

ფოსტა „ბუჟინიკა“

ხაშურის ფოსტაში მოსული დეპეშების შემოწმებისას გამოირკვა, რომ დანიშნულებისამებრ არც ერთი დეპეშა არ არის ჩაბარებული ერთ თვეზე გვიან. მიუხედავად „ბრწყინვალე“ მიღწევებისა, დადგენილ იქნა შეძენილ იქნეს 12 ცალი კუ ჩამორჩენილთა „ბუჟინიკა“ ასაყვანად.

ვილვა

მოძარაგება

ლესიჭინის (ჩხოროწყუს რაიონი) ჩის. საბჭოთა მეურნეობის მოძარაგების უფროსმა ლადი ხორავამ მუშების საერთო საცხოვრებლების გასათბობად შეიძინა 0,05 კგრ შეშა, 1 გოდორი ნახერხი და 30 ტონა ყინული.

კ. ლესიჭინელი

ფარიშვილი-მუხტაძე

გუშინ მუკუხანის (გურჯაანის რაიონი) არა სრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ფერიშვილი ვეფხვივით შეიჭრა მოწაფეებში და ორმოცდახუთ წუთში ბრძოლის ველზე დაჭრილ-დასახინრებული 5 ვაჟი და ორი ქალი დასტოვა.

მნახველი

ჩვენნი ფოსტა

გულშემატკივარს: (სამტრედი) გვატყობინებთ:

სამტრედიის ღვინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კარსებმა სამკითხველსთვის განკუთვნილი შენობა საქონლის ბოსლათ გამოიყენა...

დაწერილებით შეგვატყობინეთ: წიგნებითაც თუ მოამარაგა კარსებმა კამეჩები და ხარები, კულტგართობა ხომ არ აკლია ნიშას და ნიკორას?

კოკის: (უკუდიდი) ზუგდიდის აბანოს შესახებ გვატყობინებთ:

„ჩვენსა აბანოს ვესტუმრეთ მე და ჩემი მზა აღია. შიგ არ შეგვიშვეს, ასე სთქვამს: როდი მოდისო წყალი“

და აბანოს გამგეს ალექსანდრეს ემდურებით. რა ქნას ალექსანდრემ! აბა აიღეთ და კლუბის ან სამკითხველს. გამგეთ დააყენეთ მგ თქვენი ალექსანდრე, მაშინ ნახეთ თუ წყალმა განუწყვეტილ არ იდინოს მისდამი რწმუნებულ დაწესებულებაში.

გაყინულს (ახალციხე) ახალციხის ვენერიულ დისპანსერიდან შემდეგ იწერებთ:

წელს შეშა არ შეგვიძინეს: აბს. ნიანგო. დისპანსერის შენობაში ისეთი სიცივეა, გათბობის მიზნით იმდენს ვხტუნაობთ, რომ ყოველ ეჭიმამა და მისამ თანაშემწემ თოთხმეტნარი ცეკვა ვისწავლეთ.

მარტო თქვენი ცეკვა საქმეს არ უშველის. გადაეცით ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს, რომ ჯანმრთელობის განყოფილების გამგეც „აატეკოს“.

წყალკანალტრესტელს: (თბილისი) პროტესტს აცხადებთ იმის გამო რომ:

თბილისში, სხვადასხვა არტელების ღვინის წურტებში შემძვრალმა „ქიმიკოსებმა“ ახალწლის წინა დღეს თორმეტი ათასი ვედროთი მეტი წყალი დახარჯეს ვიდრე ჰვეულე რიგ დღეებში ხარჯავენ.

„ქიმიკოსები“ აქ არაფერ შუაში არ არიან: ის წყალი წვეთმოუკლებლად, მთლიანად ღვინის თბილისელმა მომხმარებლებმა გადახუხეს.

საგარეჯოელს: (საგარეჯო) გვატყობინებთ:

„სოფელ ვაშლიანის წყლისადენის მიღები ნიაღვარმა დანგრია. რამდენჯერ ითავა მოსახლეობამ მიღების შეკეთება, რამდენჯერ მიმართეს სოფსაბჭოს, მაგრამ ეს უკანასკნელი ყურადღებას არ აქცევს“.

სულ ღვინის ბრალად ეგ ყველაფერი: მაგ სოფელში რომ ღვინო არ იშოვებოდეს — საბჭოს მუშაკებს წყურვილის მოვლის საშუალება არ ექნებოდათ და ხელად დაფაცურდებოდნენ, მილებს შეაკეთებდნენ.



მკვანდაძე

ბრიტანეთის „ნაჰვის სი“